



სამხრეთ აფრიკელი ბურები  
საქართველოში?

კონორ პრასადი

ECMI -ის სამუშაო მოხსენება #55

იანვარი 2012



უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI) არის არაკომერციული, არასამთავრობო ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნებულ იქნა 1996 წელს დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მთავრობების მიერ.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი დაარსდა ქ. ფლენსბუგში, გერმანიისა და დანიის მოსაზღვრე რეგიონის შუა გულში; რათა ყურადღება მიექცოთ ამ ტერიტორიაზე არსებულ უმცირესობებისა და უმრავლესობის მშვიდობიანი თანაცხოვრების წარმატებულ მაგალითზე.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიზანია, ხელი შეუწყოს მრავალდისციპლინარულ კვლევას იმ საკითხებზე, რომელიც ეხება უმცირესობებისა და უმრავლესობის ურთიერთობებს, ევროპული მიდგომების გათვალისწინებით. ამასთანავე, წვლილი შეიტანოს ინტერ-ეთნიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაში დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის იმ ნაწილში, სადაც ადგილი აქვს ეთნო-კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს.

ECMI-ის კვლევით ნაშრომზე მუშაობენ ECMI-ს თანამშრომლები და ცენტრის მიერ მოწვეული მკვლევარები. ECMI-ის მიერ გამოცემულ კვლევებში გამოხატულ აზრებზე პასუხისმგებელია ნაშრომის ავტორი.

### ECMI მოხსენება

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)

დირექტორი: დოქ. ტოვე ჰ. მალო

© ECMI 2012



# სამხრეთ აფრიკელი ბურები საქართველოში?

2010 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობამ მოულოდნელად წამოაყენა რადიკალური და საკმაოდ ხაღავლად წინადადება, შეეთავაზებინათ სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ზოგიერთი ბური ფერმერისათვის (მათი საერთო რაოდენობა იქ 40 000-ია), შეესყიდათ საუკეთესო მიწის ნაკვეთები საქართველოში, ხოლო ამის სანაცვლოდ გაეზიარებინათ ქვეყნისათვის თავიანთი გამოცდილება და ცოდნა სოფლის მეურნეობის დარგში არსებულ თანამედროვე მეთოდებთან დაკავშირებით. 2010 წლის სექტემბერში, ბ-ნმა პაპუნა დავითაიამ, საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დიასპორის საკითხებში, უმასპინძლა სამხრეთ აფრიკელი ფერმერების დელეგაციას საქართველოში და შესთავაზა მათ რიგი გარანტიებისა, თუკი ისინი მიიღებდნენ გადაწყვეტილებას საქართველოში ჩამოსახლებაზე დაკავშირებით. მომდევნო ამგვარი „ფაქტების დამდგენი მისიები“ საქართველოს ეწვია 2011 წლის იანვარსა და თებერვალში.

კონორ პრასადი , იანვარი 2012  
ECMI -ის სამუშაო მოხსენება #55

## I. შესავალი

ცნობილია, რომ ამ დროისათვის საქართველოში საკვები პროდუქტების 70% იმპორტირებულია, ხოლო, სოფლის მეურნეობაში არსებული მეთოდები ბევრ რეგიონში მრავალი ათწლეულის განმავლობაში არ შეცვლილა.<sup>1</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველო ღვინის მწარმოებელი ქვეყანაა, მისი ღვინოები ჯერ კიდევ არ არის გასული ევროპულ ბაზარზე, ხოლო რამდენიმე წლის წინ ასევე შეჩერდა ქართული ღვინოების ექსპორტი რუსეთში ორ ქვეყანას შორის მზარდი დაძაბულობის გამო. საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, რომ ამ პროექტით სამხრეთ აფრიკელი გამოცდილების დანერგვა საქართველოში სასიცოცხლო ძალას შესძენს სოფლის მეურნეობის და ღვინის მრეწველობის სექტორებს.

თვით ბური ფერმერები საკმაოდ დაინტერესდნენ ხსენებული წინადადებით. ამ დაინტერესების მიზეზად კი ასახელებენ ისეთ პრობლემებს, როგორცაა მათთვის

არახელსაყრელი შრომის ანაზღაურება, მიწის რეფორმის პოლიტიკა, აგრეთვე ძალადობის საფრთხე, რომელიც მათ ემუქრებათ სამხრეთ აფრიკაში, რის გამოც ისინი მზად არიან, დატოვონ სამშობლო და დაიწიონ ახალი ცხოვრება კავკასიის რეგიონში. ერთ-ერთმა ბურმა ფერმერმა, ჰენდრიკ მილსმა აღნიშნა: „ჩემი აზრით ფერმერებისთვის აქ უდიდესი პერსპექტივა არსებობს. ფულადი ინფლაცია უმჯობესია საქართველოში, ვიდრე აფრიკაში.“<sup>2</sup>

ამ ინიციატივასთან დაკავშირებით თავიანთი უარყოფითი მოსაზრება გააჩნია ზოგიერთ ჯგუფს როგორც საქართველოში, ისე სამხრეთ აფრიკაში. ზოგი ქართველი ოპოზიციონერი პოლიტიკოსი ამტკიცებს, რომ ახალჩამოსულები ჩაღის ფასად შეისყიდიან საუკეთესო მიწის ნაკვეთებს, ხოლო ქართველი გლეხები მიწის გარეშე დარჩებიან. ზოგიერთი ქართველი გლეხი შიშობს, რომ

<sup>1</sup> 2010 წლის 29 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე ვიზიტის ანალიზის მოკლე შინაარსი: <http://boers.ge/index-7.html#TAUSA>

<sup>2</sup> “Boer farmers head for new home in Georgia,” (“ბური ფერმერები მიემართებიან ახალ სამშობლოში, საქართველოში,”) The Independent, 9 ნოემბერი, 2010; <http://www.independent.co.uk/news/world/europe/boer-farmers-head-for-new-home-in-georgia-2128794.html>



დაგეგმილია მათი გაძევება საკუთარი მიწის ნაკვეთებიდან. საინფორმაციო საშუალებების ცნობით ათასი ბური<sup>3</sup>, მსურველთა რიცხვი კი ათასობითაა, უკვე მზადაა, ჩასახლდეს საქართველოში, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი წუხილი. ამასობაში, უკმაყოფილებას გამოთქვამენ სამხრეთ აფრიკაშიც იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრ საუკეთესო ფერმერს ეძლევა ქვეყნის დატოვების საშუალება.

ამ დოკუმენტში სიღრმისეულად არის განხილული აღნიშნული პროექტი და მისი ის ნაწილი, რომელიც ამ ეტაპზე უკვე არის განხორციელებული. მასში აღწერილია საქართველოს მთავრობის მიზნები და ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც უნდა მოხდეს ამ პროექტის განხორციელება. აგრეთვე ის, თუ როგორ შესაბამისობაშია აღნიშნული პროექტი სოფლის მეურნეობის სამინისტროს აგრარულ რეფორმასა და სოფლის მეურნეობის განვითარებასთან დაკავშირებულ გრძელვადიან გეგმებთან. დოკუმენტში გათვალისწინებულია აღნიშნული პროექტის პოტენციური სარგებელი და რისკები, ასევე გათვალისწინებულია როგორც ადგილობრივი ქართველი გლეხების აზრი, ისე იმ სამხრეთ აფრიკელი ბურების შეხედულებები და გამოცდილება, რომლებიც აპირებენ საქართველოში ჩამოსვლას, ან უკვე არიან ჩამოსულები.

## II. ბურები საქართველოში

ოდესღაც მძლავრი საბჭოთა აგრარული ქვეყანა, საქართველო, ამჟამად საკუთარი სახნავ-სათესი მიწების 50%-ზე ნაკლებს ამუშავებს. ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის ნახევარზე მეტი მიწათმოქმედებას ეწევა, მიუხედავად ამისა, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი საქართველოს მთლიან შიდა პროდუქციაში 10 პროცენტზე ნაკლებია.<sup>4</sup> 2010 წლის მესამე კვარტალში ეს წილი კიდევ 1.8 პროცენტით შემცირდა და გახდა ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქციის 8

პროცენტი მაშინ, როცა წლის პირველ ნახევარში ეს მაჩვენებელი 9 პროცენტი იყო.<sup>5</sup> 2005 წლის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, მიუხედავად მისი უდიდესი პოტენციალისა, 20%-ით, ხოლო სახნავ-სათესი ფართობი 43%-ით შემცირდა.<sup>6</sup> მკვეთრად დაეცა ასევე ერთ ჰექტარ ფართობზე წარმოებული პროდუქციის საშუალო მაჩვენებელი. საქართველოში სიმინდის საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე 1,5 ტონაა, მაშინ როცა სამხრეთ აფრიკაში იგივე მაჩვენებელი 8 ტონას უდრის.<sup>7</sup> მნიშვნელოვნად იკლო ასევე რძის პროდუქტების წარმოებამ: 1990 წელს ქვეყანაში იყო 4 მილიონი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ახლა კი საქართველოს საძოვრებზე მხოლოდ 1.7 მილიონი ძროხაა აღრიცხული.<sup>8</sup> დღეისათვის ღორების რაოდენობა საქართველოში 1990 წელს მათი რაოდენობის მესამედს უდრის.<sup>9</sup>

პროდუქციის წარმოების კლება საქართველო დამოკიდებული გახდა გარედან იმპორტზე, რათა შენარჩუნებულიყო მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფა. საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედების განვითარებისა და მოსახლეობის სურსათით

<sup>5</sup> იქვე.

<sup>6</sup> "Agriculture in Georgia: Lessons from Europe"

("სოფლის მეურნეობა საქართველოში: ევროპული გაკვეთილები"), The Messenger Online, 3 ნოემბერი, 2010;

[http://www.messenger.com.ge/issues/2227\\_november\\_3\\_2010/2227\\_eklund.html](http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html)

<sup>7</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ ბენი ვან ზილთან, სამხრეთ აფრიკის ტრანსვაალის მიწათმოქმედთა ასოციაციის დირექტორთან (TAU SA), აპრილი, 2010; იხ. აგრეთვე: "სოფლის მეურნეობა საქართველოში: ევროპული გაკვეთილები", The Messenger Online, 3 ნოემბერი, 2010,

[http://www.messenger.com.ge/issues/2227\\_november\\_3\\_2010/2227\\_eklund.html](http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html)

<sup>8</sup> "Agriculture in Georgia: Lessons from Europe"

("სოფლის მეურნეობა საქართველოში: ევროპული გაკვეთილები"), The Messenger Online, 3 ნოემბერი, 2010,

[http://www.messenger.com.ge/issues/2227\\_november\\_3\\_2010/2227\\_eklund.html](http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html).

<sup>9</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ პერ ეკლუნდთან, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილ ხელმძღვანელთან, მაისი, 2011.

<sup>3</sup> ზოგიერთი აცხადებს, რომ შეიძლება ჩამოსახლდნენ 40 000-მდე ბური.

<sup>4</sup> "Georgia's not-so-big society", The Economist, 13 აპრილი, 2011,

[http://www.economist.com/blogs/easternapproaches/2011/04/social\\_capital\\_georgia](http://www.economist.com/blogs/easternapproaches/2011/04/social_capital_georgia)



უზრუნველყოფის გარანტიის შესახებ პროექტის მენეჯერი, ხუან ხოსე ეჩანოვი საქართველოს სოფლის მეურნეობას ახასიათებს, როგორც „კატასტროფას“, რასაც ხსნის იმით, რომ საქართველოში მოხმარებული ხორბლის 85 პროცენტამდე უმთავრესად იმპორტირებულია უკრაინიდან შავი ზღვის გავლით.<sup>10</sup> ეჩანოვი აღნიშნავს, რომ გარე წყაროებზე ამგვარი დამოკიდებულება, თანაც ასეთ მნიშვნელოვან საკვებთან დაკავშირებით, პოტენციური საფრთხის წინაშე აყენებს საქართველოს, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ ახალი ომი დაიწყება რუსეთთან.<sup>11</sup>

არსებობს საერთო აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა აწარმოებს პროდუქციას, რომელიც შეადგენს ქვეყნის მოსახლეობის სასიცოცხლო მინიმუმს. იმის შედეგად, თუ როგორ დაიშალა და დაიყო საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ საბჭოთა კოლმეურნეობები, ქართველი გლეხების უმეტესობის მფლობელობაში აღმოჩნდა მცირე ზომის მიწის ნაკვეთები, რაც

საკმარისია მხოლოდ მათი საკუთარი ოჯახების გამოსაკვებად. ინდივიდუალური ნაკვეთების საშუალო ფართობი საქართველოში 0.96 ჰექტარია და ნაკვეთების მხოლოდ ხუთი პროცენტია 2 ჰექტარზე მეტი.<sup>12</sup> გლეხების მუშაობა არანაირად არ არის ორგანიზებული, რაც ხელს უშლით მათ მიიღონ სარგებელი წარმოების მასშტაბის ეფექტური ზრდით და გავიდნენ ქვეყნის შიდა ბაზარზე.<sup>13</sup>

გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსის, კონსტანტინე კობახიძის განცხადებით, ადგილობრივი ქართველი გლეხები უმთავრესად ამუშავენ მათ მფლობელობაში არსებული მიწის 50 პროცენტს და არ გააჩნიათ „საკუთარი საქმიანობის გაფართოების საშუალება, შესაძლებლობა ან სურვილი“<sup>14</sup>. საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი

<sup>10</sup> ECMI-ს ინტერვიუ ხუან ხოსე ეჩანოვთან საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედების განვითარების და სურსათით მომარაგების გარანტიის შესახებ პროექტის მენეჯერთან, თბილისი, მაისი 2011. ევროპაში 85 პროცენტი უმაღლესი მაჩვენებელია.

<sup>11</sup> ეჩანოვს ხჯერა, რომ რუსეთს ძალიან ადვილად შეუძლია გადაუკეტოს საქართველოს საიმპორტო მარშრუტები, მაგალითად, შავ ზღვაზე. კიდევ ერთხელ რომ გაეზუსტათ ხაზი სურსათით მომარაგების გარანტიის უსაფრთხოების მნიშვნელობას, უნდა აღვნიშნოთ, რომ სურსათით მომარაგების გარანტიის უსაფრთხოება ან მისი არარსებობა, რისთვისაც დამახასიათებელია ძირითად საკვებ პროდუქტებზე, მაგალითად, პურზე, ფასების სწრაფი ზრდა, მიჩნეულია იმ მნიშვნელოვან ნაპერწკლად, რომელმაც წარმოშვა ანტი-სამთავრობო პროტესტის ახლანდელი ტალღა არაბულ საყაროში. იხ. მაგალითად: “სურსათით მომარაგების გარანტიის უსაფრთხოება: პური და თავისუფლება,” 1 თებერვალი, 2011. მისამართზე: <http://www.guardian.co.uk/commentisfree/2011/feb/01/food-security-bread-freedom-editorial>; ასევე, “ეგვიპტე ეძებს ხორბალს, რადგან რუსეთში მოსავალი გვადვამ გაანადგურა,” როიტერი აფრიკა, 31 ივლისი, 2010. მისამართზე: <http://af.reuters.com/article/investingNews/idAFJOE66U03X20100731?pageNumber=2&virtualBrandChannel=0>.

<sup>12</sup> “ფერმიდან მიღებული პროდუქცია, არა ფერმაში წარმოებული პროდუქცია და კომერციალიზაცია საქართველოს სოფლებში”, იდო კენი და სხვები., *Electronic Journal of Agricultural and Development Economics*, Vol. 3, No. 2, 2006, pp. 276–286, მისამართზე: [www.fao.org/es/esa/eJADE](http://www.fao.org/es/esa/eJADE). თუმცა, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელის, პერ ეკლუნდის აზრით მცირე ფართობის მიწის ნაკვეთების დამუშავება ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც ნორმალ ითვლება. მისი სიტყვებით ევროკავშირის ტერიტორიაზე ფერმების უმეტესობა ოჯახების საკუთრებაა და საკმაოდ მცირე ზომისაა. სასოფლო სამეურნეო მიწების 70 პროცენტი 5 ჰექტარზე ნაკლებია. მიუხედავად ამისა, ევროპაში სოფლის მეურნეობის ინდუსტრია მოწინავეა მსოფლიოში. იხ.: “სოფლის მეურნეობა საქართველოში: ევროპული გაკვეთილები”, *The Messenger Online*, 3 ნოემბერი, 2010, [http://www.messenger.com.ge/issues/2227\\_november\\_3\\_2010/2227\\_eklund.html](http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html).

<sup>13</sup> “Agriculture in Georgia: Lessons from Europe” (“სოფლის მეურნეობა საქართველოში: ევროპული გაკვეთილები”), *The Messenger Online*, 3 ნოემბერი, 2010, [http://www.messenger.com.ge/issues/2227\\_november\\_3\\_2010/2227\\_eklund.html](http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html).

<sup>14</sup> ECMI-ს ინტერვიუ კონსტანტინე კობახიძესთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსთან, თბილისი, აპრილი 2011.



ხელმძღვანელის, პერ ეკლუნდის აზრით, ბევრი ქართველი გლეხი კონსერვატორია: ის ორტოფობს მისთვის უცნობი მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებით და შიშით უყურებს მათ. ეკლუნდი ამბობს, რომ საქართველოში სიღარიბე ყველაზე მაღალია სოფლად.<sup>15</sup> ამ სიტუაციის ასახსნელად ხშირად აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ ხანგრძლივმა საბჭოთა ზეგავლენამ ჩაახშო მეწარმეობა, განსაკუთრებით, სოფლის მეურნეობის სექტორში.

სიმართლეს წარმოადგენს აგრეთვე ის ფაქტი, რომ იმ გლეხებსაც კი, რომლებსაც აქვთ თავიანთი მეურნეობის განვითარების სურვილი, ხშირად არ გააჩნიათ საამისოდ საჭირო კაპიტალი და ვერ სარგებლობენ მხარდაჭერით მთავრობის მხრიდან. დღემდე საქართველოს მთავრობა არ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას და სოფლის მეურნეობის სამინისტრო არ იღებდა სათანადო დაფინანსებას. 2010 წელს მთავრობამ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის საერთო ბიუჯეტიდან გამოყო მხოლოდ 0.7 პროცენტი, ხოლო 2011 წელს – ცოტა მეტი, 1.2 პროცენტი.<sup>16</sup> ხუან ხოსე ეჩანოვის დახასიათებით, დღემდე მთავრობის მიდგომა სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართ გათვალისწინებული იყო „საგანგებო მდგომარეობებისთვის და მოკლებული იყო ყოველგვარ სტრატეგიას“<sup>17</sup>. თავად პრეზიდენტ სააკაშვილის სიტყვებით, დიდი დრო იქნა დაკარგული იმის გამო, რომ ფიქრობდნენ, სოფლის მეურნეობის სექტორი „თავისთავად განვითარდებოდა“<sup>18</sup>. 2011 წლის თებერვალში, საქართველოს პარლამენტის წინაშე თავის ყოველწლიურ გამოსვლაში, მან

აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობაში არსებული „მეტად არადაამაკაყოფილებელი სიტუაციის“ გამოსასწორებლად მთავრობა მზად იყო, გამოეყო 150 მილიონი ლარი (დაახლოებით 63 მილიონი ევრო).<sup>19</sup> ამ კონტექსტში იგულისხმება, რომ საჭიროა სამხრეთ აფრიკელი ფერმერების გუნდის სასწრაფოდ მოწვევა, რათა მათ დახმარება გაუწიონ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების დაწყების საქმეში.<sup>20</sup>

ამ პროექტის ხელმძღვანელობა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნაცვლად დაეკისრა დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს. ეს აიხსნება იმ ფაქტით, რომ დიასპორის საკითხების სამინისტროს ახლო კავშირები აქვს მთელ მსოფლიოში მცხოვრებ ეთნიკურ ქართველებთან სამხრეთ აფრიკაში მცხოვრები ქართველების ჩათვლით.<sup>21</sup> დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის პაპუნა დავითაიას განმარტებით, ქვეყნის დაინტერესება აღნიშნული პროექტით მდგომარეობს იმაში, რომ „ისტორიულად საქართველო ყოველთვის იყო აგრარული ქვეყანა, მაგრამ საბჭოთა პერიოდში მან [საქართველომ] დაკარგა ეს ტრადიცია და ახლა [ჩვენ] ვცდილობთ მის აღდგენას“<sup>22</sup>.

<sup>15</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ პერ ეკლუნდთან, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილ ხელმძღვანელთან, მაისი, 2011.

<sup>16</sup> ECMI-ს ინტერვიუ ხუან ხოსე ეჩანოვთან, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედების განვითარების და სურსათით მომარაგების გარანტიის შესახებ პროექტის მენეჯერთან თბილისი, მაისი 2011.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> “სააკაშვილი მოუწოდებს ‘სახელმწიფოს აქტიური მოქმედებისაკენ’ სოფლის მეურნეობის წინსვლის ხელშესაწყობად”, Civil Georgia, 8 მარტი, 2011, <http://www.civil.ge/eng/article.php?id=23214>

<sup>19</sup> იქვე.

<sup>20</sup> საქართველოს მთავრობა ხაზს უსვამს იმას, რომ მის მიერ შემუშავებული ‘ბურების პროექტი’ წარმოადგენს მთავრობის უფრო დიდი მიზნის ნაწილს მოიხილოს უცხოური ინვესტიციები ქვეყანაში. მაგალითად, კონსტანტინე კობახიძემ აღნიშნა, რომ ქვეყანა ‘ღიაა ყველასათვის, ვისაც აქვს სურვილი, მონაწილეობა მიიღოს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.’ მან თქვა, რომ ასეთივე ინვესტიორები არიან ირანიდან, ინდოეთიდან, კატარიდან და საუდის არაბეთიდან. ასევე, პროექტის ხელმძღვანელი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის თანამშრომელი ჯუბა მარუაშვილი, აცხადებს, რომ არსებობს ასეთივე პროექტები ტურისტულ ინდუსტრიაში შავი ზღვის სანაპიროზე. თუმცა, ფაქტია, რომ მთავრობამ სპეციალური პროექტი მხოლოდ ბურებისათვის შექმნა.

<sup>21</sup> ECMI-ს ინტერვიუ ჯუბა მარუაშვილთან; პროექტის ხელმძღვანელი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, მაისი, 2011.

<sup>22</sup> “საქართველოს მთავრობა ბურებს 80 000 ჰექტარ მიწას შეპირდა”, Humanrights.ge, 26 იანვარი, 2011,



დავითიას განცხადებით ბური ფერმერები საუკეთესონი არიან მსოფლიოში: „ჩვენ ვსაუბრობთ წარმატებულ ფერმერებზე. მათ შეუძლიათ დაასაქმონ უამრავი ადამიანი და შექმნან ეკონომიკის საკმაოდ დიდი სეგმენტი, რომელიც გაზრდის ბიუჯეტს. ეს ხალხი ცდილობს მრავალფეროვანი გახადოს საკუთარი ბიზნესი. ისინი ეძებენ გზებს ევროპისა და აზიის ბაზრებზე გასასვლელად და კარგი იქნება თუ თავიანთ სასოფლო სამეურნეო საქმიანობას საქართველოში გააგრძელებენ.“<sup>23</sup> კონსტანტინე კობახიძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ამ საკითხს: „ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ [სამხრეთ აფრიკელი ფერმერები] გასული არიან ევროპისა და ამერიკის ბაზრებზე. ამას გარდა, ისინი ამბობენ, რომ თუ ადგილობრივი ფერმერები ითანამშრომლებენ მათთან, ისინი დაეხმარებიან მათ საკუთარი პროდუქციის საზღვარგარეთ გაყიდვაში.“<sup>24</sup> ეს კი ორმხრივად მომგებიანი იქნება. მაგალითად, თუ სამხრეთ აფრიკელი ფერმერი აწარმოებს 1000 ტონა კონკრეტულ პროდუქციას, მათ შეუძლიათ ამას დაუმატონ ადგილობრივი გლეხის მიერ წარმოებული იგივე სახის 1000 ტონა პროდუქცია, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შეუძლიათ, მისცენ გარანტია მყიდველს შეთანხმებული რაოდენობით პროდუქციის მიწოდების შესახებ.<sup>25</sup>

2010 წლის აგვისტოში საქართველოს მთავრობასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ეროვნულ აგრარულ კავშირს (TAU SA) შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რითაც ისინი შეთანხმდნენ თანამშრომლობის განვითარებაზე და იმაზე, რომ ერთიანი ძალისხმევით განხორციელებულიყო სამხრეთ აფრიკაში არსებული გამოცდილების გაზიარება სოფლის მეურნეობის დარგში.<sup>26</sup>

<http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=12846&lang=eng>.

<sup>23</sup> იქვე.

<sup>24</sup> ECMI-ს ინტერვიუ კონსტანტინე კობახიძესთან; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, თბილისი, აპრილი 2010.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> “TAU SA დაეხმარება საქართველოს კომერციაზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში,” MSN News, 20 აგვისტო, 2010, <http://news.za.msn.com/article.aspx?cp->

ვან ზილის განცხადებით საქართველოს მთავრობამ მიმართა მას თხოვნით: „საქართველოს სურდა დაეხმარებოდა, გაგვეზიარებინა მათთვის ჩვენი გამოცდილება სოფლის მეურნეობის დარგში, რათა მათ შეეძლებოდათ კომერციული მიზნით პროდუქციის უწყვეტი წარმოება“, აღნიშნა მან.<sup>27</sup>

სამხრეთ აფრიკელი ინვესტორების მოძიების მიზნით შეიქმნა ორგანიზაცია სახელად „ნიკო ბური“.<sup>28</sup> საქართველოს მთავრობამ, ასევე, სამხრეთ აფრიკელი პოტენციური მყიდველებისათვის შექმნა ინტერნეტ-გვერდი ([www.boers.ge](http://www.boers.ge)), რომელშიც მოცემულია გეოგრაფიული და კულტურული ინფორმაცია საქართველოს შესახებ. ინტერნეტ-გვერდზე ხაზგასმულია საქართველოში არსებული სტაბილურად უსაფრთხო სიტუაცია, პოლიციის ეფექტურობა და მთავრობის წარმატებები კორუფციასთან ბრძოლის საქმეში. „ფაქტების შესწავლის“ მისიით საქართველოში სამჯერ ჩამოვიდა დაახლოებით 90 ბური ფერმერი. პირველი ასეთი მისია შედგა გასულ წელს, 2010 წლის 29 სექტემბრიდან 6 ოქტომბრამდე, ხოლო შემდეგი ორი ჯგუფი საქართველოს ესტუმრა მიმდინარე წლის დასაწყისში, ერთი 24-27 იანვარს, ხოლო მეორე – 7-11 თებერვალს.

პირველი მისიის შემდეგ შედგა წერილობითი ანგარიში, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო ჯგუფის წევრთა შთაბეჭდილებები საქართველოს, მისი სოფლის მეურნეობის, შესაძლებლობების და პრობლემების შესახებ, იმ სამხრეთ აფრიკელი ფერმერებისათვის, რომლებიც

documentid=154451700. ურთიერთგაგების მემორანდუმი იხ. მისამართზე: [boers.ge](http://boers.ge).

<sup>27</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ ბენი ვან ზილთან; სამხრეთ აფრიკის ტრანსვაალის მიწათმოქმედთა ასოციაციის (TAU SA) დირექტორი; აპრილი, 2010.

<sup>28</sup> ეს ორგანიზაცია ატარებს ნიკო ბაგრატიონის, ქართველი დიდგვაროვანის სახელს, რომელიც ბურების მეორე ომის (1899-1902) დროს მოხალისედ იბრძოდა ბურების არმიაში სამხრეთ აფრიკაში. საქართველოში ის, ასევე, ცნობილია ნიკო ბურის სახელით. როგორც საქართველოს მთავრობა, ისე სამხრეთ აფრიკელი ბურები მის სახელს იყენებენ ამ ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის ხანგრძლივი ტრადიციის მაგალითად.



მიიღებდნენ საქართველოში ცხოვრების გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში გარკვევით არის წარმოდგენილი ჯგუფის წევრების შეხედულება იმის თაობაზე, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობა „სულაც არ არის ეფექტური“, ისინი გამოთქვამენ აზრს, რომ აქ დიდია პოტენციური შესაძლებლობები უცხოელი ინვესტორებისათვის. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობამ ყველა ღონეს მიმართა, რათა ჯგუფის წევრებისათვის „მაქსიმალურად გაეცნო საკუთარი ქვეყანა“. მათი აზრით, აქ „საფუძვლიანად არის აღმოფხვრილი კორუფცია და კრიმინალი“.<sup>29</sup>

სამხრეთ აფრიკის ტრანსვაალის მიწათმოქმედთა კავშირის (TAU SA) ხელმძღვანელი, ბენი ვან ზილი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რამდენად ობიექტური და პოზიტიურია საქართველოს მთავრობის მიდგომა მიწათმოქმედებისადმი, რაც მნიშვნელოვან ფაქტორად უნდა იქნეს მიხნეული სამხრეთ აფრიკელი ფერმერებისათვის.<sup>30</sup> შედარებისთვის, მისი თქმით, სამხრეთ აფრიკაში ყოველ კვირა ორი ბური ფერმერის მკვლელობა ხდება. 1994 წლიდან მოხდა 3000-ზე მეტი მკვლელობა, რაც ცნობილი გახდა როგორც პლაასმორდე, ანუ მკვლელობები ფერმაში.<sup>31</sup> ეს კი ფერმერობას ყველაზე სახიფათო საქმიანობად ხდის ამ ქვეყანაში. საქართველოს მთავრობის ორმა მაღალჩინოსანმა, რომლებიც ამ ბოლო დროს სტუმრობდნენ სამხრეთ აფრიკას, აღნიშნეს, რომ იქ ძალიან ცუდი მდგომარეობაა ფერმერთა უსაფრთხოების თვალსაზრისით. ფერმები დაცულია ელექტრო-ღობეებით, ხოლო ზოგიერთი ფერმერი საღამოს 6 საათის შედეგ სახლიდან ვერ გამოდის.<sup>32</sup>

<sup>29</sup> 2010 წლის 29 სექტემბრიდან - 6 ოქტომბრამდე ვიზიტის ანალიზის მოკლე მიმოხილვა, მისამართზე: <http://boers.ge/index-7.html#TAUSA>.

<sup>30</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ ბენი ვან ზილთან; სამხრეთ აფრიკის ტრანსვაალის მიწათმოქმედთა ასოციაციის (TAU SA) დირექტორი, აპრილი, 2011

<sup>31</sup> “White farmers ‘being wiped out’”, (“თეთრ ფერმერებს ‘ანადგურებენ’”), The Times, 28 მარტი, 2010, <http://www.timesonline.co.uk/tol/news/world/africa/article7078730.ece>

<sup>32</sup> ECMI-ს ინტერვიუ, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, თბილისი, აპრილი, 2011.

ვან ზილი ასევე აღნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკის მთავრობა, რომელსაც სათავეში უდგას ჯეკობ ზუმა,<sup>33</sup> არ არის კეთილგანწყობილი ბიზნესის მიმართ და არც გამჭვირვალობის მომხრეა. ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამხრეთ აფრიკაში ბური ფერმერები გაურკვეველ სიტუაციაში იმყოფებიან. სამხრეთ აფრიკის მთავრობის მიწის რეფორმის პოლიტიკის გამო ბევრი მათგანი შიშობს, რომ მათ აიძულებენ გაყიდონ საკუთარი ფერმები საბაზრო ღირებულებაზე დაბალ ფასად. ვან ზილი მიუთითებს აგრეთვე ფერმების მოსალოდნელ ექსპროპრიაციასა და ფერმის მუშების უფლებების გაზრდაზე. „მთავრობას შეუძლია მოვიდეს შენთან და გითხრას, რომ მათ სურთ გადაიხადონ შენს ფერმაში კონკრეტული თანხა და შენ იძულებული ხდები, გაყიდო ის“, თქვა ჯონ სვარტმა საქართველოში ფაქტების დამდგენი მისიის წევრად ყოფნის დროს. „შენ, შეიძლება, ყველაფერი დაკარგო“<sup>34</sup>. გარდა ეკონომიკური და უსაფრთხოების მდგომარეობისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ემოციურ ფაქტორსაც. ევა ფეარბენკსი წერს: „სამხრეთ აფრიკის ისტორიაში არსებობს საერთო სოციალური აზრი იმასთან დაკავშირებით, რომ კომერციულ საქმიანობაზე ორიენტირებული ფერმერები ფარული ექსპლუატაციის ქვეშ ცხოვრობენ“<sup>35</sup>.

საქართველოს მთავრობის წარმადგენელთა სიტყვებით, ისინი არ ელოდებიან დიდი რაოდენობით ბურებს საქართველოში და აცხადებენ, რომ დასაწყისისათვის ძალიან კარგი იქნებოდა 15-20 ადამიანის, ხოლო მოგვიანებით კი უფრო მეტის ჩამოსახლება. პროექტის ხელმძღვანელი, ჯუბა მარუაშვილი ვარაუდობს მთლიანად დაახლოებით 100

<sup>33</sup> პრეზიდენტი ზუმას ბრალად ედება რამდენიმე დანაშაული კორუფციასთან დაკავშირებით. მისი პროფილია “სამხრეთ აფრიკის პრეზიდენტი ჯეკობ ზუმა,” ინტერნეტ-გვერდის მისამართი: <http://news.bbc.co.uk/2/hi/africa/4615019.stm>

<sup>34</sup> “Following South African farmers to Georgia”, BBC News, 28 February 2011, [http://www.bbc.co.uk/worldservice/worldagenda/2011/02/110228\\_worldagenda\\_georgia\\_farmers.shtml](http://www.bbc.co.uk/worldservice/worldagenda/2011/02/110228_worldagenda_georgia_farmers.shtml).

<sup>35</sup> “Georgia – and Congo – on South African Farmers’ Minds,” Mail & Guardian Online, 24 June 2011, <http://mg.co.za/article/2011-06-24-georgia--and-congo-on-south-african-farmers-minds/>





ადამიანს და აცხადებს, რომ მას ამაზე მეტის მოლოდინი არასდროს ჰქონია.<sup>36</sup> არსებობს ამის რამდენიმე სავარაუდო მიზეზი. ზოგიერთი იმ წყაროს ცნობით, რომლებიც იცნობენ სამხრეთ აფრიკელთა ვიზიტის დეტალებს, სამხრეთ აფრიკელთა ნაწილმა თავი შეიკავა მიწის ნაკეთის შესყიდვისაგან იმის გამო, რომ ელოდება, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს მთავრობა საკუთრების უფლებებთან დაკავშირებით: ეს არის პრობლემა, რომელიც მუდმივად ხელს უშლის მიწასთან დაკავშირებულ ინვესტიციებს საქართველოში.<sup>37</sup> ვიზიტის შემდეგ ზოგმა ბურმა ასევე უკმაყოფილება გამოთქვა შეთავაზებული მიწის ნაკეთის ფართობთან დაკავშირებით. სამხრეთ აფრიკელები მიხეველნი არიან ათასობით ჰექტარ მიწაზე მუშაობას, ხოლო საქართველოში რამდენიმე ასეული ჰექტარიც კი გიგანტურად ითვლება. „ჩვენთვის ეს წარმოადგენს ქვე-ეკონომიკურ ერთეულებს“, განაცხადა ერთერთმა ბურმა - ფრანც ვენტერმა. საქართველოს სოფლის მეურნეობის დახასიათებისას მან ასევე აღნიშნა, რომ „მიწის სათანადო ფართის მოსაპოვებლად საჭირო იქნება სოფლის მაცხოვრებლებთან მოლაპარაკება, რომლებიც ფლობენ მიწის პატარ-პატარა ნაკვეთებს“<sup>38</sup>.

მთავრობა ხაზს უსვამს იმას, რომ უცხოელ ინვესტორებზე გაიყიდება მხოლოდ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწა, რომელიც რამდენიმე წელია დამუშავებული არ ყოფილა.<sup>39</sup> ეს წარმოადგენს მთლიანად საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწების 30 პროცენტს,<sup>40</sup> თუმცა მდგომარეობა უფრო

რთულია. 1991 წელს 20 წლიანი იჯარით საქართველოს ფერმერებზე გაიცა სახელმწიფო მიწების დიდი ნაწილი. ეს ვადა ამოიწურა 2011 წლის ივნისში. მოიჯარე გლეხებს, რომლებიც ამუშავებდნენ ამ მიწებს, შეუძლიათ მცირე ფასად შეისყიდონ ის მთავრობისგან. ამისათვის მათ მთავრობას უნდა მიმართონ მანამ, სანამ იჯარის ვადა ამოიწურება. ამის შემდგომ მათ შეეძლება უცხოელი ინვესტორებისათვის მიწის მიყიდვა.<sup>41</sup>

მიწის გაყიდვა მოხდება აუქციონზე, რომელშიც ყველას შეეძლება მონაწილეობა. მიწის ნაკვეთების საწყისი ფასები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებისათვის განისაზღვრა პრემიერ მინისტრის მიერ 2011 წლის 13 იანვარს. ყველაზე ნაკლები ფასი დაედო მთა-გორიან ზონებში არსებულ ნაკვეთებს და მათი საწყისი ფასია 300 ლარი 1 ჰექტარზე (დაახლოებით 125 ევრო)<sup>42</sup>, ხოლო საუკეთესო სახნავ-სათესი მიწების 1 ჰექტარის ღირებულება 700-1000 ლარია (დაახლოებით 300-400 ევრო). აუქციონზე მიწის ნაკვეთები შეიძლება „ორჯერ ან სამჯერ მეტ ფასად“ გაიყიდოს.<sup>43</sup> ხუთი ბური ფერმერი უკვე ჩამოვიდა საქართველოში და შეიძინეს მიწის ნაკვეთები თბილისის

სოფლის მეურნეობის, მიწათმოქმედების განვითარების და სურსათით მომარაგების გარანტიის შესახებ პროექტის მეწყვერი, თბილისი, მაისი 2011.

<sup>41</sup> ECMI-ს ინტერვიუ ჯუბა მარუაშვილთან; პროექტის ხელმძღვანელი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, მაისი, 2011.

<sup>42</sup> ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ყველაზე იაფი მიწის ნაკვეთები გაიყიდება 40 აშშ დოლარად (დაახლოებით 28 ევრო) ერთი ჰექტარი. იხ. მაგალითად, “South African Farmers Looking to Bet on Georgia,” Investor.ge, Issue 6, December-January 2010-2011. Available at: [http://www.investor.ge/issues/2010\\_6/12.htm](http://www.investor.ge/issues/2010_6/12.htm).

<sup>43</sup> ECMI-ს ინტერვიუ კონსტანტინე კობახიძესთან; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, თბილისი, აპრილი 2011; თუმცა, ბი-ბი-სი-ს ცნობით საქართველოს მთავრობა მზადაა შეამციროს მიწის ნაკვეთის ფასი, თუ სამხრეთ აფრიკელი ფერმერები შექმნიან სამუშაო ადგილებს საქართველოში. იხ.: [http://www.bbc.co.uk/worldservice/worldagenda/2011/02/110228\\_worldagenda\\_georgia\\_farmers.shtml](http://www.bbc.co.uk/worldservice/worldagenda/2011/02/110228_worldagenda_georgia_farmers.shtml)

<sup>36</sup> ECMI-ს ინტერვიუ ჯუბა მარუაშვილთან; პროექტის ხელმძღვანელი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო სამინისტროს აპარატი, თბილისი, მაისი, 2011.

<sup>37</sup> “Georgia: Betting on Boers for an Agricultural Comeback,” Eurasianet.org, 9 June 2011, <http://www.eurasianet.org/node/63647>

<sup>38</sup> “Georgia – and Congo – on South African Farmers’ Minds,” Mail & Guardian Online, 24 June 2011, <http://mg.co.za/article/2011-06-24-georgia--and-congo-on-south-african-farmers-minds/>

<sup>39</sup> ECMI-ს ინტერვიუ კონსტანტინე კობახიძესთან; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, თბილისი, აპრილი 2010.

<sup>40</sup> ECMI-ს ინტერვიუ ხუან ხოსე ეჩანოვთან; საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის



მახლობლად, სართიჭალაში, ასევე კახეთში.<sup>44</sup> შექმნილი მიწის ნაკვეთების ფართობი 500-დან 750 ჰექტარამდე მერყეობს. ზოგიერთმა ბურმა დაიწყო პარტნიორობა ქართველ კომერციულ საქმიანობაზე ორიენტირებულ გლეხებთან. ზოგიერთმა კი არჩია, ეყიდა მიწა საქართველოში, ხოლო თვითონ სამხრეთ აფრიკაში დარჩენილიყო საცხოვრებლად და იქიდან ემართა ბიზნესი.

მარუაშვილის სიტყვებით, პროექტის ხელშესაწყობად კანონმდებლობაში არ შესულა არანაირი ცვლილება და ბურ ფერმერებს არ ენიჭებათ არანაირი უპირატესობა სხვა უცხოელ ინვესტორებთან ან ქართველ მიწათმოქმედებთან შედარებით.<sup>45</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს უცხოეთის მოქალაქეთა მიერ საქართველოში მიწის ნაკვეთების შესყიდვას, საქართველოს მთავრობა იყენებს კანონმდებლობაში არსებულ გაურკვეველობას, რომელიც უფლებას აძლევს უცხო ქვეყნის მოქალაქეებს დაიწყოთ ბიზნესი საქართველოში და დაარეგისტრირონ ის საკუთარ სახელზე. ამის შედეგად, ბიზნესის საკუთრებაში არსებული ქონება მათ საკუთრებაში გადადის. თუ ხდება საკმაოდ სოლიდური ინვესტიციის შემთავაზება, რომელიც დაასაქმებს დიდი რაოდენობით ადგილობრივ მოსახლეობას, მთავრობა აცხადებს, რომ ის მზადაა მიანიჭოს ასეთ ინვესტორებს საქართველოს მოქალაქეობა.<sup>46</sup> დღეისათვის იმ ხუთივე ბურ

ფერმერს, რომლებმაც შეიძინეს საქართველოში მიწა, საქართველოს მოქალაქეობა აქვთ მინიჭებული.<sup>47</sup>

საქართველოს მთავრობა იმეორებს, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის სასოფლო-სამეურნეო მიწების ყიდვის შესაძლებლობის მიცემისას წახალისების მიზნით სთავაზობს მათ შესყიდული მიწის სრულ მფლობელობაში გადაცემას.<sup>48</sup> ის უარყოფს იმას, რომ სთავაზობს ბურებს განსაკუთრებულ პირობებს, მაგალითად, სპეციალურ საგადასახადო განაკვეთს, წამახალისებელ საშუალებებს ან დახმარებას. მისი სიტყვებით, ბურმა ფერმერებმა თავად უნდა იმუშაონ და განავითარონ თავიანთი ახალი მიწა. თუმცა, მათ ექნებათ შესაძლებლობა, ისარგებლონ ბიზნესის გასაუმჯობესებლად განხორციელებული რეფორმებით,<sup>49</sup> როგორცაა დღე-სგან, საშემოსავლო გადასახადისგან, სასოფლო-სამეურნეო ხელსაწყოების იმპორტისას საბაჟო გადასახადებისაგან გათავისუფლება.<sup>50</sup> მთავრობას ასევე აქვს სურვილი შესთავაზოს მათ ე.წ. „ინვესტიციის სტიმულაცია“. თუ, მაგალითად, ბური ფერმერი თანახმაა დახარჯოს 10 მილიონი დოლარი თავის მიწაზე პირველი ორი წლის განავლობაში, მთავრობა მზადაა უზრუნველყოს მათთვის

საქართველოს წინაშე და მისთვის მოქალაქეობის მინიჭება საქართველოს ინტერესებს ემსახურება. საქართველოს კონსტიტუცია იხ. მისამართზე: [http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=ENG&sec\\_id=68](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=68)

<sup>44</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ ჯუბა მარუაშვილთან; პროექტის ხელმძღვანელი, დიანაპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, მაისი, 2011.

<sup>45</sup> ეს საკითხი რამდენადმე სადავოდ შეიძლება ჩაითვალოს. ზოგიერთი სკეპტიკოსი ანალიტიკოსის აზრით, თუ საქართველოს მთავრობა ისეთივე პირობებს შეუქმნის ბურებს, როგორსაც ის უქმნის ადგილობრივ სოფლის მოსახლეობას, ბურების მოწინავე გამოცდილება სასოფლო სამეურნეო სექტორში აქ (საქართველოში) სრულიად უსარგებლო იქნება. იხ. მაგალითად: “ბურების მოლოდინში”, The Messenger Online, 17 ნოემბერი 2010, [http://www.messenger.com.ge/issues/2237\\_november\\_17\\_2010/2237\\_edit.html](http://www.messenger.com.ge/issues/2237_november_17_2010/2237_edit.html).

<sup>46</sup> საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის მე-12 პარაგრაფის მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქეს საქართველოს მოქალაქეობას ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი, თუ ამ მოქალაქეს განსაკუთრებული დამსახურება აქვს

<sup>47</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ ჯუბა მარუაშვილთან; პროექტის ხელმძღვანელი, დიანაპორის საკითხებში სახელმწიფო სამინისტროს აპარატი, თბილისი, მაისი, 2011.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> მსოფლიო ბანკის 2011 წლის ანგარიშში *Doing Business Report*, საქართველოს 183 ქვეყანას შორის მე-12 ადგილი აქვს მინიჭებული ბიზნესის სწრაფად განვითარებისათვის და დადებითად არის შეფასებული მის მიერ ბიზნესის განვითარების მიზნით განხორციელებული მთელი რიგი რეფორმები. სრულად ანგარიში იხ. მისამართზე:

[www.doingbusiness.org/~./.../doing%20business/...reports/.../db11-fullreport.pdf](http://www.doingbusiness.org/~./.../doing%20business/...reports/.../db11-fullreport.pdf); see also: “Georgia tops business reform list,” BBC News, 6 September 2006, <http://news.bbc.co.uk/2/hi/business/5313146.stm>

<sup>50</sup> “South African Farmers Looking to Bet on Georgia,” Investor.ge, Issue 6, December-January 2010-2011, [http://www.investor.ge/issues/2010\\_6/12.htm](http://www.investor.ge/issues/2010_6/12.htm).



ისეთი საშუალებები, როგორცაა გზები, წყლით, ელექტროენერჯით და გაზით მომარაგება.<sup>51</sup>

### III. სხვადასხვა მოსაზრებები და პრობლემები

თავდაპირველად საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ საქართველოში შეიძლება ჩამოსახლოვდეს 1000 ბური ფერმერი, რასაც შეიძლება დაერქვას უჩვეულო მიგრაცია. ოპოზიციური ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლის სიტყვებით, მათ აქვთ ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შესაძლოა საქართველოში ჩასახლდეს 40 000 ბური ფერმერი.<sup>52</sup> საქართველოს ლეიბორისტული პარტია სასტიკი წინააღმდეგია ასეთი რაოდენობით ბური ფერმერების საქართველოში ჩასახლებისა იმ მიზეზით, რომ იმიგრაციის დიდმა ნაკადმა, შესაძლოა, მეტი დესტაბილიზაცია შეიტანოს ქვეყნის უკვე ისედაც დაძაბულ ეთნიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაში. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ციფრები არ უნდა შეესაბამებოდეს რეალობას. ქვეყანაში, სავარაუდოდ, 100 ფერმერზე მეტი არ ჩამოვა და ეს ციფრი, შეიძლება, გაცილებით ნაკლებიც კი იყოს. ამგვარი განსხვავება უნდა აიხსნას იმით, რომ საქართველოს მთავრობას თავის დროზე, ალბათ, ჰქონდა დაგეგმილი ქვეყანაში დიდი რაოდენობით ბური ფერმერების შემოყვანა, მაგრამ საზოგადოების მხრიდან ძლიერი უარყოფითი რეაქციის გამო იძულებული გახდა, შეეცვალა გეგმები.<sup>53</sup> მეორე მხრივ, მთავრობა აცხადებს, რომ ამგვარი დიდი ციფრები არასდროს

ყოფილა რეალური და ასეთი ინფორმაციის გავრცელებას უპასუხისმგებლობას აბრალებს.<sup>54</sup> ლეიბორისტული პარტია აღიარებს იმასაც, რომ იმიგრანტების დასახელებული მცირე რაოდენობა ვერ მოახდენს უარყოფით ზეგავლენას და შეიძლება სასიკეთოდ კი გამოდგეს საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის.<sup>55</sup>

საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ კომერციულ საქმიანობაზე ორიენტირებული გლეხები მოხარულნი არიან უცხოელი ინვესტორების ჩამოსვლით, ვინაიდან სჯერათ, რომ ისინი ქვეყანაში შემოიტანენ მართვის თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიას.<sup>56</sup> ზოგიერთი ასეთი გლეხი, როგორც ჩანს, მზად არის მიჰყიდოს ბურ ფერმერებს საკუთარი მიწის ნაკვეთი, ან მოიწვიოს ისინი მათ მიწაზე ინვესტიციის ჩასადებად, აწარმოოს პროდუქცია მათთან ერთად და გახდეს მათი მოწილე. თუმცა, როგორც ადრე უკვე აღინიშნა, კომერციულ საქმიანობაზე ორიენტირებული გლეხების რაოდენობა საქართველოს სოფლის მეურნეობაში მცირეა: ზოგიერთის აზრით, მხოლოდ 5 პროცენტი.<sup>57</sup>

უნდა ითქვას, რომ მცირე რაოდენობით პროდუქციის მწარმოებელი გლეხები ვერ ხვდებიან, თუ რა პოტენციური სარგებლობის მოტანა შეუძლიათ უცხოელ ინვესტორებს. მთავრობა მზადაა, ადგილობრივი სამთავრობო სტრუქტურების მეშვეობით დაუკავშირდეს ამგვარ გლეხებს და აუხსნას მათ უცხოელი ინვესტორების მნიშვნელობა საქართველოს სოფლის მეურნეობისათვის არა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ კაპიტალი

<sup>51</sup> ECMI-ს ინტერვიუ ჯუბა მარუაშვილთან; პროექტის ხელმძღვანელი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, მაისი, 2011.

<sup>52</sup> ECMI-ს ინტერვიუ იოსებ შატბერაშვილთან და გიორგი გუგავასთან; შესაბამისად, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი და პოლიტიკური მდივანი, თბილისი, აპრილი, 2011.

<sup>53</sup> აქ შესაძლებელია არეულია ბური ფერმერების საერთო რაოდენობა სამხრეთ აფრიკაში (დაახლოებით 40 000) და მათი რაოდენობა, რომლებიც რეალურად მოინდომებენ საქართველოში დასახლებას.

<sup>54</sup> იქვე.

<sup>54</sup> ECMI-ს ინტერვიუ ჯუბა მარუაშვილთან; პროექტის ხელმძღვანელი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, მაისი, 2011.

<sup>55</sup> ECMI-ს ინტერვიუ იოსებ შატბერაშვილთან და გიორგი გუგავასთან; შესაბამისად, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის გენერალური მდივანი და პოლიტიკური მდივანი, თბილისი, აპრილი, 2011.

<sup>56</sup> ECMI-ს ინტერვიუ კონსტანტინე კობახიძესთან; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, თბილისი, აპრილი 2011.

<sup>57</sup> ECMI-ს ინტერვიუ ჯუბა მარუაშვილთან; პროექტის ხელმძღვანელი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, მაისი, 2011.



შემოაქვთ ქვეყანაში, არამედ იმიტომაც, რომ ისინი გაუზიარებენ მათ საკუთარ გამოცდილებას, მართვის მეთოდებს და დაეხმარებიან უცხოურ ბაზრებზე გასვლაში. ამ მიზნით, მთავრობა გეგმავს, თითოეულ მუნიციპალიტეტში გააგზავნოს თითო აგრონომი, რომელიც აუხსნის ადგილობრივ გლეხებს, რომ განათლებული და გამოცდილების მქონე ფერმერები მხოლოდ „სიკეთეს მოუტანენ მათ და წართმევით კი არაფერს წაართმევენ“<sup>58</sup>.

მიუხედავად ამისა, ბევრი ასეთი გლეხი ეკვთის თვალთ უყურებს მთავრობის მიზნებსაც და ამ მიზნების განსახორციელებლად დადგენილ მეთოდებსაც. ერთ-ერთი გლეხი, ალექსი ცინცაძე ამბობს: „მოგვცეს მთავრობამ არენდით მიწა და ტექნიკა, მოგვცეს მუშაობის საშუალება, მოგვცეს ცოტა შეღავათიანი სესხები და მუშაობა ჩვენ არ გვეზარება. კოლექტიურ ბრიგადას ჩამოგაყალიბებთ, შევექმნით კოოპერატივს. ამ ყველაფერს ძალიან დიდი თანხები სჭირდება და თუ სესხებს მოგვცემს მთავრობა და გვერდში დაგვიდგება რად გვინდა ბურები?! ბურებზე ნაკლები ვართ ჩვენ?! შრომა გვიყვარს და სამშობლო გვიყვარს!“<sup>59</sup> ამ მოსაზრებას ეხმაურება ბევრი ის ქართველი გლეხი, რომელიც მცირე რაოდენობით პროდუქციას აწარმოებს.

გორის მახლობლად მდებარე სოფელ ზედუღეთში მომხდარი შემთხვევა წარმოადგენს შემაშფოთებელ პრეცედენტს იმასთან დაკავშირებით, თუ პოტენციურად როგორ შეიძლება განხორციელდეს მიწის პრივატიზაცია. ამ შემთხვევაში 100 ჰექტარი მიწა, რომელსაც ჩვეულებრივ ადგილობრივი სოფლის გლეხები საძოვრად იყენებდნენ დაახლოებით 600 სული მსხვილი რქოსანი პირუტყვისათვის, გაიყიდა „ინდოელ ინვესტორზე“. სოფლის მცხოვრებთა სიტყვებით, ამ მიწას იყენებდნენ მთელი

თაობები მათი წინაპრებისა, თუმცა მიუხედავად ამისა, მიწის გაყიდვის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როდესაც მათ უთხრეს, რომ აღარ ჰქონდათ საქონლის იქ ძოვების უფლება. ისინი ამბობენ, რომ მათ არც კი იცოდნენ, რომ მიწა იყიდებოდა. გარდა ამისა, ამავე მიწაზე სამუშაოდ ქირაობენ სხვა სოფლების მცხოვრებთ და არა თვითონ ზედუღეთელებს<sup>60</sup>.

15 აპრილს, უცხოელმა ინვესტორმა დაიწყო 100 ჰექტარი მიწის დამუშავება. სოფლის მცხოვრებნი შეეცადნენ წინააღმდეგობა გაეწიათ მისთვის. საქმეში პოლიცია ჩაერია და, ადგილობრივთა გადმოცემით, მათ „რამდენიმე დემონსტრანტი სცემეს“<sup>61</sup>. შემდეგ ისინი დააპატიმრეს და ჩაიყვანეს გორის პოლიციის განყოფილებაში სადაც 400 ლარით (დაახლოებით 170 ევრო) დააჯარიმეს. მოგვიანებით მათ ბრალდება და ჯარიმა მოუხსნეს და გააფრთხილეს, რომ მომავალში წყნარად ყოფილიყვნენ და აღარ ჩაედინათ მსგავსი რამ.<sup>62</sup> მიუხედავად ამისა, ისინი კვლავაც იმეორებენ, რომ მათ სჭირდებათ ეს საძოვარი და არა აქვთ სხვა ადგილი, სადაც საქონელს გაუშვებენ. თავდაპირველად მათ დაპირდნენ, რომ 25 ჰექტარს დაუტოვებდნენ სარგებლობაში, თუმცა, მათი სიტყვებით, ინდოელი ინვესტორი ამ მიწასაც ამზადებს დასამუშავებლად. ისინი ამბობენ, რომ მთავრობა მათ ურჩევს დაკლან საქონელი, ან მეზობელი სოფლის საძოვარზე გაუშვან საბაღახოდ, მაგრამ სოფლელები ამბობენ, რომ ის შორსაა და მას უკვე იყენებს სხვა სოფელი. ამ ფაქტმა შესაძლოა კონფლიქტიც კი წარმოშვას მეზობელ სოფლებს შორის.

ამასთან, ამგვარი სიტუაცია ხელს უშლის ჩაფიქრებულ ახლო თანამშრომლობას უცხოელ ინვესტორსა და ადგილობრივ გლეხებს შორის. წარმოუდგენელია, რომ მათ ისწავლონ ინვესტორისგან რაიმე, როდესაც მიანიათ, რომ მათი მიწა უკანონოდ იქნა მითვისებული. ამის ნაცვლად, უფრო სავარაუდოა, რომ ადგილი ექნება აღშფოთებას, უცხოელი ინვესტორისგან განცალკევებას, ვინაიდან ადგილობრივი გლეხები, რომლებსაც არ ეძლევათ განვითარების საშუალება, კვლავაც

<sup>58</sup> ECMI-ს ინტერვიუ კონსტანტინე კობახიძესთან; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, თბილისი, აპრილი 2011.

<sup>59</sup> “საქართველოს მთავრობა ბურებს 80 000 ჰექტარ მიწას შეპირდა”, ვებ-პორტალი საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ, 26 იანვარი, 2011, <http://www.humanrights.ge/index.php?a=text&pid=12846&lang=eng>.

<sup>60</sup> ECMI-ს ფოკუს-ჯგუფი ზედუღეთის

<sup>61</sup> იქვე.

<sup>62</sup> იქვე.



სიღარიბეში ცხოვრობენ, ხოლო მათ გვერდით უხვმოსავლიანი ფერმა იარსებებს. როგორც საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი პერ ეკლუნდი წერს, „დიდი სასოფლო-სამეურნეო მასივების განვითარება მცირე ფერმების ხარჯზე წარმოქმნის უამრავ სოციალურ პრობლემას, ვინაიდან ამას შეუძლია გამოიწვიოს უმუშევრობისა და სიღარიბის დრამატული ზრდა“<sup>63</sup>.

ამასთან დაკავშირებით, ეკლუნდს მაგალითად მოჰყავს ევროკავშირის პროექტი ახალქალაქში, სადაც გლეხებმა მთა-გორიან ზონაში ჩამოაყალიბეს კოოპერატივი.<sup>64</sup> კოოპერატივი შეიძლება განისაზღვროს როგორც „ბიზნეს-ორგანიზაცია, რომელსაც ფლობს და ამუშავებს ადამიანების ჯგუფი საკუთარი სარგებლობისათვის“<sup>65</sup>. გლეხებს შეეძლოთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაქირავება და, საჭიროების შემთხვევაში, რჩევების მიღება. კოოპერატივი აძლევდა მათ საშუალებას, ემუშავათ ერთად და გაერთიანებინათ მათ საკუთრებაში არსებული პატარა მიწის ნაკვეთები. გარდა ამისა, გლეხებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ახალი ტიპის სათესლე მასალებსა და სოფლის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პროგრამას, რის შედეგადაც დაიბადებოდნენ უფრო დიდი და ჯანსაღი ხბოები. 2010 წლის გაზაფხულზე პროექტის შედეგების სანახადად ჩასულმა ეკლუნდმა განაცხადა, რომ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, თუ როგორ მუშაობდა კოოპერატივი შექმნიდან ერთი წლის თავზე. გლეხები თავდაპირველად ეჭვის თვალით უყურებდნენ ზოგიერთ ახალ პროექტს, განსაკუთრებით, ხელოვნური

განაყოფიერების პროგრამას, თუმცა მოგვიანებით განაცხადეს, რომ ძალიან კმაყოფილები იყვნენ შედეგებით და ათი წლით ადრე რომ დაეწყოთ ამ მეთოდებით მუშაობა, ახლა მდიდრები იქნებოდნენ.<sup>66</sup>

თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამშრომლობის ისეთ ფორმას, როგორც კოოპერატივი, საქართველოს კანონმდებლობა ხელს არ უწყობს: კოოპერატივები იბეგრება ორმაგად – ერთი, როგორც ბიზნესი და მეორე, როგორც ინდივიდუალური შემოსავალი.<sup>67</sup> კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (ჩდჩ) ბოლო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ საქართველო ჯერ კიდევ დაბალ დონეზე რჩება იმისათვის რომ „ერთმანეთთან დააკავშიროს საზოგადოებრივი კაპიტალი“, რაც ხელს შეუწყობდა უცხო ადამიანებს შორის სისტემატურ თანამშრომლობას. მოსახლეობის 5 პროცენტზე ნაკლები გაერთიანებულია ასოციაციებში ან ჩართულია სხვადასხვა ოფიციალურ საზოგადოებრივ საქმიანობაში, ხოლო ცალკეულ წევრებზე დაფუძნებული გაერთიანებები ქვეყანაში ამ დროისათვის ცოტაა.<sup>68</sup> უზრუნველ ეკონომისტი წერს, რომ საქართველოში სუფევს საზოგადოების მიერ განხორციელებული ქმედებების მიმართ მუდმივი უნდობლობა და უკმაყოფილება.

ამ პროექტის ერთ-ერთ პრინციპულ პრობლემად რჩება საკითხი, თუ როგორ შეეგუებიან საქართველოში ცხოვრებას ბური იმიგრანტები და როგორ მოხდება საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო სამინისტროს ამ პროექტის ხელმძღვანელი, მარუაშვილი, ვერ ხედავს პრობლემას ბური ფერმერების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციასთან დაკავშირებით.<sup>69</sup> მისი აზრით, საქართველო ყოველთვის იყო

<sup>63</sup> “Agriculture in Georgia: Lessons from Europe” (“სოფლის მეურნეობა საქართველოში: ევროპული გაკვეთილები”), The Messenger Online, 3 ნოემბერი, 2010; [http://www.messenger.com.ge/issues/2227\\_november\\_3\\_2010/2227\\_eklund.html](http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html)

<sup>64</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ პერ ეკლუნდთან; საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი, მაისი, 2011.

<sup>65</sup> “Agriculture in Georgia: Lessons from Europe” (“სოფლის მეურნეობა საქართველოში: ევროპული გაკვეთილები”), The Messenger Online, 3 ნოემბერი, 2010; [http://www.messenger.com.ge/issues/2227\\_november\\_3\\_2010/2227\\_eklund.html](http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html)

<sup>66</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ პერ ეკლუნდთან; საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი, მაისი, 2011.  
<sup>67</sup> “Georgia’s not-so-big society”, The Economist, 13 აპრილი, 2011, [http://www.economist.com/blogs/easternapproaches/2011/04/social\\_capital\\_georgia](http://www.economist.com/blogs/easternapproaches/2011/04/social_capital_georgia)

<sup>68</sup> იქვე.  
<sup>69</sup> ECMI-ს ინტერვიუ ჯუბა მარუაშვილთან; პროექტის ხელმძღვანელი, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი, თბილისი, მაისი, 2011.



მრავალეროვანი და პლურალისტული ქვეყანა და მიჩვეულია მის ტერიტორიაზე სხვადასხვა ხალხების დასახლებას. გარდა ამისა, ის მიუთითებს ბურების და ქართველების კულტურათა მსგავსებაზე და ვერავითარ მნიშვნელოვან პრობლემას ვერ ხედავს მათ ინტეგრაციასთან დაკავშირებით. სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს, რომ ბურების უმრავლესობას სურს თავიანთი ბავშვების ადგილობრივ სკოლებში შეყვანა და უნდათ, რომ მათ უმაღლესი განათლება საქართველოში მიიღონ. ბევრ მათგანს თავად აქვს სურვილი შეისწავლოს ქართული ენა. რასაკვირველია, სამხრეთ აფრიკის ტრანსვაალის მიწათმოქმედთა ასოციაცია (TAU SA) დარწმუნებულია, რომ ამგვარი ფერმერებისთვის მთავარი პრობლემა ენობრივი ბარიერი იქნება.<sup>70</sup> ამაში მათ დაეხმარება განათლების სამინისტრო, რომელიც უზრუნველყოფს მათთვის ქართული ენის გაკეთილებს და სხვა სათანადო დამხმარე სტრუქტურებს.<sup>71</sup> ერთ-ერთი ბური, პიეტ კემპი ამბობს: „საქართველოში თუ წავალ, გავხდები ქართველი. აღარ მინდა კიდევ ერთი სამხრეთ აფრიკა“<sup>72</sup>.

მიმდინარე წლის მარტში სამხრეთ აფრიკის პროვინციის, მპუმალანგას მკვიდრი პიეტ კემპი<sup>73</sup> საქართველოში ჩავიდა საცხოვრებლად. ეს არის პირველი ბური, ვინც ასე მოიქცა. ამჟამად ის ამუშავებს დაახლოებით 750 ჰექტარ მიწას სამხრეთ საქართველოს ქვემო ქართლის რეგიონში. მან შექმნა ამხანაგობა ადგილობრივ ქართველ

გლეხთან, იქირავა სახლი სართიჭალაში<sup>74</sup> და მიიღო სამთავრობო პროექტით გათვალისწინებული ქართული პასპორტი. კემპი იმედოვნებს, რომ დაიწყებს ახალ ცხოვრებას საქართველოში: „სახლში [სამხრეთ აფრიკაში] ვიჯექი ხოლმე კარის ზღურბლზე ერთ ხელში თოფით და მეორეში რადიოთი (რაციით), რათა ვინმე თავს თუ დამესხმებოდა მეზობლებისთვის მომეხმო“, ამბობს ის. „აქ მე მხოლოდ ჩემი ბიზნესით ვარ დაკავებული. იარაღი და სხვა ამგვარი რამ საჭირო არ არის. ყველა მეგობრულად არის განწყობილი“<sup>75</sup>. კემპი განსაკუთრებული ძალისხმევით ცდილობს ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციას. მან დაიწყო ქართული ენის შესწავლა და იმასაც ფიქრობს, რომ მიიღოს ქართული მართლმადიდებლური საწმუნოება. ის ცდილობს დაამყაროს ურთიერთობა ადგილობრივ სოფლებთან: სუმრობს მათთან თარჯიმნის მეშვეობით, ასევე უზიარებს მათ თავის გამოცდილებას, თუ როგორ უნდა ჩაყარონ თესლი უფრო ღრმად და ეფექტურად, როგორ მიიღონ უკეთესი შედეგები სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის გამოყენებით რგვისა და მოსავლის აღების დროს. თავად იმედოვნებს, რომ მიუხედავად ამინდის ცვალებადობისა, წელს მოიყვანს 2000 ტ ხორბალს და 3000 ტ სიმინდს.<sup>76</sup> სამხრეთ აფრიკაში მიწებთან დაკავშირებულ დაკვებზე ის სიფრთხილით საუბრობს. მას თვალში უჭირავს მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე, მაგრამ ამბობს, რომ არ ეცდება მის ყიდვას, ვიდრე არ დარწმუნდება, რომ ადგილობრივები მას არ იყენებენ. ამ დროისათვის კიდევ რამდენიმე ბური ეძებს მიწის ნაკვეთებს საქართველოში.

<sup>70</sup> ECMI-ს სატელეფონო ინტერვიუ ბენი ვან ზილთან; სამხრეთ აფრიკის ტრანსვაალის მიწათმოქმედთა ასოციაციის დირექტორი (TAU SA), აპრილი, 2010.

<sup>71</sup> ECMI-ს ინტერვიუ კონსტანტინე კობახიძესთან; სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, თბილისი, აპრილი 2011.

<sup>72</sup> “The Boers’ new trek” “ბურების ახალი მიგრაცია”, The German Times Online, მარტი 2011, [http://www.german-times.com/index.php?option=com\\_content&task=view&id=40511&Itemid=25](http://www.german-times.com/index.php?option=com_content&task=view&id=40511&Itemid=25)

<sup>73</sup> პიეტ კემპი, სამწუხაროდ არ დათანხმდა ECMI-ს ინტერვიუზე.

#### IV. დასკვნა და რეკომენდაციები

დადებით ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს ის, რომ საქართველოს მთავრობა სულ უფრო მეტ

<sup>74</sup> სართიჭალა მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონში, თბილისიდან დაშორებულია დაახლოებით 19 კმ-ით.

<sup>75</sup> “Georgia: Betting on Boers for an Agricultural Comeback,” Eurasianet.org, 9 June 2011, <http://www.eurasianet.org/node/63647>

<sup>76</sup> იქვე.



პრიორიტეტს ანიჭებს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომელიც ათწლეულების მანძილზე უწყურადღებოდ იყო მიტოვებული. მთავრობას გააზრებული აქვს ის ფაქტი, რომ დიდი დრო დაიკარგა და აღიარებს, რომ ამ დრომდე ფიქრობდა, ეს სექტორი თავისთავად განვითარდებოდა. ამ კონტექსტში, ცხადია, რომ პროექტს უცხოური კაპიტალის და გამოცდილების ქვეყანაში შემოტანასთან დაკავშირებით ბევრი უპირატესობა გააჩნია. ზოგადად, საქართველოს სოფლის მეურნეობას ნამდვილად მოუტანს სარგებელს ბური ფერმერების უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების გაზიარება, რადგან ისინი საუკეთესოთა შორის არიან მსოფლიოში. ეჭვგარეშეა, რომ ისინი მოუტანენ სარგებელს იმ ქართველ გლეხებსაც, რომლებიც მონდომებენ მათთან ერთად მუშაობას და გაიზიარებენ მათ გამოცდილებას.

თუმცა, გაურკვეველია, თუ რა სარგებლობას მოუტანს ეს პროექტი ქართველი გლეხების უმრავლესობას, რომლებიც ამუშავებენ პატარა მიწის ნაკვეთებს იმისათვის, რომ ოჯახი არჩინონ და უმნიშვნელო დახმარებას იღებენ (თუ იღებენ საერთოდ) მთავრობისგან ან საიდანმე. საქართველოს სოფლის მეურნეობა ვერ განვითარდება მთელი თავისი პოტენციალით სპეციალური, მოქმედებაზე ორიენტირებული პროგრამის გარეშე, რომელიც სარგებლობას მოუტანს ამგვარ გლეხებს, მოამარაგებს მათ სასოფლო-სამეურნეო იარაღებით და მისცემს საჭირო ცოდნას, რათა დაამუშაონ თავიანთი მიწის ნაკვეთები და სრულყოფილი მუშაობის მეთოდები. როგორც პერ ეკლუნდი აღნიშნავს, „თუ გატარებული რეფორმები ვერ მოაგვარებს იმ გლეხების პრობლემებს, რომლებიც ამუშავებენ მცირე ზომის მიწის ნაკვეთებს საკუთარი ოჯახების სარჩენად და ვერ მოუტანს მათ სარგებელს, მაშინ ასეთი რეფორმები არის უსამართლო, უფრო მეტიც – შეცდომა“<sup>77</sup>.

ზედღუღეთის მაგალითი გვიჩვენებს, რომ ბური ფერმერების საქართველოში შემოსვლამ შეიძლება ზიანიც კი მოუტანოს მათ, ვის დახმარებასაც ისახავს მიზნად მათი

ჩამოსახლება, თუ ეს არ გააკეთდა კარგად მოფიქრებული მეთოდით. თავის მხრივ, ამან შეიძლება უნდობლობა და გაუცხოება დათესოს ადგილობრივ ქართველ გლეხებში. ცხადია, რომ აუცილებლად უნდა ჩატარდეს კონსულტაციები ადგილობრივ მოსახლეობასთან, რათა მათ უკეთ გაიგონ მიწის მცირე ნაკვეთების მფლობელი სოფლის მოსახლეობის საჭიროებები. ამის შემდეგ შეიძლება, განხორციელდეს პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს პარტნიორობას და ცოდნის გადაცემას უცხოელ ფერმერებსა და ადგილობრივ გლეხებს შორის, რაც სარგებლობას მოუტანს აღნიშნულ პროექტს. თუ ეს ნაბიჯები და პროგრამები თანამიმდევრულად იქნება განხორციელებული, საქართველოში ჩამოსული მცოდნე და ფართო გამოცდილების მქონე სამხრეთ აფრიკელი ბურების პოზიტიური ზეგავლენა გაიზრდება და მაქსიმალურად განაწილდება საქართველოში მცხოვრებ უღარიბეს გლეხებზე, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებენ დახმარებას.

<sup>77</sup> “The Boers’ new trek” („ბურების ახალი მიგრაცია“), The Messenger Online, 3 ნოემბერი, 2010; [http://www.messenger.com.ge/issues/2227\\_november\\_3\\_2010/2227\\_eklund.html](http://www.messenger.com.ge/issues/2227_november_3_2010/2227_eklund.html)



ავტორის შესახებ

**კონორ პრასადი**

კონორ პრასადი ამჟამად მუშაობს ცენტრალური აზიის ანალიტიკოსად კრიზისების საერთაშორისო ჯგუფში

\*საკონტაქტო ინფორმაცია: [prasadc@tcd.ie](mailto:prasadc@tcd.ie)

შემდგომი ინფორმაციისთვის იხილეთ:

EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES (ECMI)

Schiffbruecke 12 (Kompagnietor) D-24939 Flensburg

☎ +49-(0)461-14 14 9-0 \* fax +49-(0)461-14 14 9-19

\* E-Mail: [info@ecmi.de](mailto:info@ecmi.de) \* Internet: <http://www.ecmi.de>